ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №32

2015 წლის 20 მარტი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკურორტო ზოლში შინაური ცხოველების შენახვის წესების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მეორე პუნქტის „რ" ქვეპუნქტისა და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 61-ე მუხლის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ქობულეთის ტერიტორიაზე საკურორტო ზოლში, შინაური ცხოველების შენახვის წესები თანახმად დანართისა.

2. დამტკიცებული წესების დარღვევისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 171-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად საჯარიმო სანქციები განისაზღვროს ფიზიკურ პირებზე 50 ლარით, ხოლო იურიდიულ პირებზე 100 ლარით, განმეორების შემთხვევაში ფიზიკურ პირებზე 100 ლარით, ხოლო იურიდიულ პირებზე 200 ლარით.

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უზრუნველყოს:

ა) ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ცხოველების შენახვის წესების მოსახლეობაში ფართო პროპაგანდა ქალაქის ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით;

ბ) შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებთან ერთად ამ გადაწყვეტილებით მიღებული წესების შესრულების კოორდინაციისა და კონტროლის განხორციელება;

გ) დაჭერილი უმეთვალყურეო, მოხეტიალე შინაური ცხოველებისათვის განთავსებისათვის სპეციალური ადგილის გამოყოფის თაობაზე შესაბამისი წინადადებები შემუშავდება მომსახურე იურიდიულ პირთან ერთად;

დ) დაჭერილი ცხოველების კვებით უზრუნველყოფისა და მათი შენახვის ხარჯების შესახებ წინადადებების შემუშავება და წარდგენა განხორციელდება მოსამსახურე იურიდიულ პირთან;

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ნ. ბეჟანიძე);

5. ამ განკარგულების ძალაში შესვლისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 აგვისტოს №73 განკარგულება;

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30).

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ს.ოქროპირიძე**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკურორტო ზოლში შინაური ცხოველების შენახვის წესების შესახებ

1. ეს წესი ვრცელდება ქობულეთის მუნიციპლიტეტის საკურორტო ზოლში მცხოვრებ კერძო პირებზე, რომლებსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში ჰყავთ ძაღლი, ძროხა, ღორი ან სხვა შინაური ცხოველი (შემდგომში-ცხოველი).

შენიშვნა:მომსახურე იურიდიული პირი – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ განსაზღვრული იურიდიული პირი, რომელიც წესდების საფუძველზე განახორციელებს ამ განკარგულებით განსაზღვრულ საქმიანობას.

2. ქ.ქობულეთში ცხოველების შენახვა შესაძლებელია მხოლოდ სპეციალურად იზოლირებულ ტერიტორიაზე (კარგად შემოღობილი ეზოები, ნაკვეთები და სხვა) ან დაბმულ მდგომარეობაში, მოვლა-შენახვის წესების, ზოოჰიგიენური და ვეტერინარულ სანიტარული ნორმების სრული დაცვით.

3. ცხოველების მესაკუთრეები (მფლობელები) ვალდებულნი არიან:

ა) არ დაუშვან ცხოველების გაშვება იზოლირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, ქალაქის ქუჩებში, სკვერებში, პარკებში და სხვა საზოგადოების თავშეყრის ადგილებში. ძაღლების გასეირნება ქალაქის ტერიტორიაზე დასაშვებია მხოლოდ მოკლე საბმელისა და ალიკაპის გამოყენებით).

ბ) მკაცრად დაიცვან ცხოველების შენახვის წესები, უზრუნველყონ გარემომცველ პირთა უსაფრთხოება და არ დაუშვან ცხოველების მიერ საერთო სარგებლობის ადგილების დაბინძურება, ნარგავების დაზიანება, აგრეთვე ცხოველებისათვის არაკეთილსაიმედო (ანტისანიტარული) პროდუქტების გამოყენება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა ნარჩენების სახით;

გ) ცხოველების ტრანსპორტით გადაყვანისას უზრუნველყონ მოქალაქეთა უსაფრთხოების წესების დაცვა;

დ) ისარგებლონ ვეტერინარიის სამსახურის სათანადო კონსულტაციებით ამ განკარგულებისა და ცხოველთა შენახვის წესების შესრულებასთან დაკავშირებით.

4. მოხეტიალე, უმეთვალყურეო ან/და უპატრონოდ მყოფი ცხოველები ექვემდებარებიან დაუყოვნებლივ დაჭერასა და იზოლაციას.

5. მოსამსახურე იურიდიული პირი უმეთვალყურეოდ, უპატრონოდ გაშვებული ცხოველების დაჭერის შემთხვევაში მათ ათავსებს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას და უზრუნველყოფს არაუმეტეს ხუთდღიან სათანადო კვებას.

6. დაჭერილი ცხოველების მესაკუთრე, მფლობელი ვალდებულია მომსახურე იურიდიულ პირს მიაკითხოს ცხოველის დაჭერის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ხუთი კალენდარული დღისა და წარუდგინოს ცხოველის მფლობელის დამადასტურებელი დოკუმენტი ან სხვაგვარად დაასაბუთოს საფუძვლიანობა.

7. უმეთვალყურეო ცხოველის დაჭერისთანავე, სანამ განხორციელდება მისი გადაყვანა დანიშნულების ადგილას, მესაკუთრე/მფლობელის მიერ ცხოველის დაბრუნების მოთხოვნით მომართვის შემთხვევაში იგი თავისუფლდება ჯარიმის გადახდისაგან, წინააღმდეგ შემთხვევა მას ცხოველი უბრუნდება მხოლოდ დაწესებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

8. თუ დაჭერილი ცხოველის მესაკუთრე ცხოველის დაჭერიდან 5 დღის ვადაში არ გამოცხადდება მომსახურე იურიდიულ პირთან ან გამოცხადდება ცხოველის დაბრუნების მოთხოვნით, მაგრამ არ გადაიხდის საჯარიმო თანხას, ასეთ დროს მოსამსახურე იურიდიულ პირს უფლება აქვს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს ცხოველის რეალიზაცია და ამგვარად საჯარიმო თანხის ამოღება.

9. დაჭერილი ცხოველის რეალიზაციის შემთხვევაში (იურიდიული პირი) ვალდებულია დაუბრუნოს თანხა ცხოველის მესაკუთრეს იმ ოდენობით, რაც აღემატება საჯარიმო თანხების საერთო ოდენობას, იმავე დროს იურიდიულ პირს უფლება აქვს ცხოველის მესაკუთრეს, მფლობელს კანონით დადგენილი წესით მოთხოვოს თანხა იმ ოდენობით რა ოდენობითაც ნაკლებია ცხოველის რეალიზაციიდან მიღებული თანხა საჯარიმო თანხის საერთო ოდენობაზე.